



დმანისი მუნიციპალიტეტის  
პრიორიტეტების დოკუმენტი

2021-2024 წლები

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ-----	1
ისტორია-----	2
მდებარეობა-----	2
ფართობი-----	3
მმართველობის ორგანოები-----	3
მოსახლეობა-----	4
საჯარო დაწესებულებები -----	4

ბიუჯეტი

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები-----	5
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2019-2024 წლებში-----	6

შემოსულობები-----	6
გადასახდელები-----	7
ბიუჯეტის ბალანსი-----	8
2019-2020 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა -----	9
2019წლის ბიუჯეტის შესრულება-----	9
2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა-----	11
<b>თავი III. დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში----</b>	<b>15</b>
<b>ინფრასტრუქტურის განვითარება-----</b>	<b>15</b>
<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა-----</b>	<b>24</b>
<b>განათლება-----</b>	<b>27</b>
<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი-----</b>	<b>53</b>
<b>მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა-----</b>	<b>89</b>
<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები-----</b>	<b>99</b>

**თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ**

**ისტორია**


დმანისის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ქვემო ქართლის მხარეში. ქვემო ქართლში დმანისის მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი გამოირჩევა თავისი მდიდარი წარსულითა და უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენებით (პირველი ევროპელი-ზეზვა და მზია). დმანისი მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია უძველესი „Homo-ereqtus“-ის ადამიანის ნაშთები (ოთხი თავის ქალა, ხუთი ქვედაყბა და სხეულის სამოცამდე სხვა ნაწილი), რომელიც თარიღდება 1.8-1.7 მილიონი წლით. აქედან გამომდინარე კაცობრიობის ისტორია დმანისისა და იწყება.

დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადამიანის ცხოვრების ყველა პერიოდი დაწყებული მისი წარმოშობა-ჩამოყალიბებიდან. გამოვლენილია ყველა დროის მრავალრიცხოვანი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლი, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალით. მათ შორის უნიკალურია საერთაშორისო სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარე -დმანისის ნაქალაქარი, რომელიც თბილისის შემდეგ ერთერთ ყველაზე ძლიერ ქალაქად ითვლებოდა. იგი შუა საუკუნეების კლასიკურ ქართულ ქალაქს წარმოადგენდა,სადაც მე-13 საუკუნეში ქართული ფული იჭრებოდა.

**მდებარეობა.**

დმანისის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს და ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის. მუნიციპალიტეტს ესაზღვრება- თეთრიწყაროს, წალკის, ბოლნისის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები და სომხეთის რესპუბლიკა.

მუნიციპალიტეტის ცენტრი – დმანისი თბილისიდან დაშორებულია 102 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან – 116 კმ-ით, უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთი) \_ 30 კმ-ით. მანძილი უახლოეს საბაჟომდე 38 კმ-ს შეადგენს.



### ფართობი.

დმანისის მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69700 კვ.კმ) 1,7%-ს შეადგენს, შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1198.8 კვ.კმ მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულს უკავია 84985ჰა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს -29287ჰა, ხოლო გამოუყენებელი ფართობია- 5608ჰა.

### მმართველობის ორგანოები.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 31 წევრისგან. აქედან 16 არჩეულია პროპორციული, ხოლო 15 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 მუდმივმოქმედი კომისია, ესენია: სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და სოციალურ საკითხთა კომისია.

დმანისის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირების (ააიპ) მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 16 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი დმანისი, მაშავერა, დ.დმანისი, განთიადი, ქიზილქილისა, კამარლო, კარაბულახი, სარკინეთი, გომარეთი, ამამლო, ოროზმანი, ორგანჩაი, გუგუთი ,საკირე, იფნარი და დმანისის თემი.

## მოსახლეობა

დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 19141 კაცია (საფუძველი 2016 წლის 5 მაისი #11-1391წერილი). მუნიციპალიტეტში 58 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 57 სოფელი.

მუნიციპალიტეტში დასახლებული 19141 მოსახლე, ქალაქში რეგისტრირებულია 2661 პირი, ხოლო სოფლებში რეგისტრირებული 16480 პირი, აქედან ქალბატონია 9562, ხოლო მამაკაცი 9579.

დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,5%-ია.

დმანისი მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3787000	69700
დმანისის მუნიციპალიტეტი	19141	1198.8
პროცენტი საქართველოსთან	0,5%	1,7%

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 4280 პენსიონერი.

## საჯარო დაწესებულებები.


დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 27 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 2840 მოსწავლე;
- 9 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცესს გადის 340 ბავშვი; შეიქმნა 157 დასახლებული პუნქტი
- ერთი კულტურისა და ხელოვნების ცენტრი -სხვადასხვა სტუდიებში და წრეებში მონაწილეობს 325 აღსაზრდელი;
- ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა -სკოლა ეუფლება სპორტის 7 სახეობას, სადაც მონაწილეობს 192 ბავშვი.
- 1 მუსიკალური სკოლა, რომელშიც გაერთიანებულია ვარდისუბნის და განთიადის განყოფილებები, აღნიშნულ სკოლაში მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს განხრით და აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 75 მოსწავლეს, რომელსაც ემსახურება 10 პედაგოგი;
- ბიბლიოთეკის გაერთიანება, რომელიც ემსახურება 4 სოფლის ბიბლიოთეკას.

:

## ბიუჯეტი

დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 23689,2 ათას ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების დაახლოებით ნახევარზე მეტს 15270,1 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. სადაც გათვალისწინებულია 2019წლის გარდამავალი ნაშთი 7547,8 ათასი ლარი :მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია 2382,6 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები 5165,2 ათასი ლარი, რომელიც მიმართულია 2018-2019 წელს აღებული ვალდებულებების დაფარვისათვის და 2020 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის, ასევე ამ მიმართულებით გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები 5906,5 ათასი ლარი, რომელიც ყოველწლიურად მეტნაკლებად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.



**თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2019-2024 წლებში

**შემოსულობები**

2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2022-2024 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადის 19% ნაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2022-2024 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. გრანტების (ტრანსფერების) მაჩვენებელში ასევე გათვალისწინებულია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვით გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი. შესაბამისად, როგორც 2020 წელს ისევე შემდგომ წლებშიც დმანისის ბიუჯეტის შემოსულობებში გათანაბრებითი ტრანსფერი არ არის მოცემული. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

**დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორ მიხედვით 2019 –2024 წლებში**

ათას ლარებში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020წლის გეგმა	2021წლის პროექტი	2022წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
<b>შემოსულობები სულ</b>	17564,3	23633.6	13658,3	15637,5	17848,3	18783,3
<b>შემოსავლები</b>	17502,2	16141,4	13658,3	15637,5	17848,3	18783,3
<b>გადასახადები</b>	6806,7	6719,9	8037.3	10013.5	12197.3	13132.3
საშემოსავლო გადასახადი	0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)	5176,2	5269,9	6587.3	8563.5	10747.3	11682.3
ქონების გადასახადი	1630,5	1450,0	1450.0	1450.0	1450.0	1450.0
<b>გრანტები</b>	5965,8	6036,5	3786,0	3786,0	3786,0	3786,0
<b>გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან</b>	5965,8	6036,5	3786,0	3786,0	3786,0	3786,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი	496,4	972,9	650,0	650,0	650,0	650,0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერი	5469,4	5063.6	3136,0	3136,0	0.0	0.0
<b>სხვა შემოსავლები</b>	4729,8	3385,0	1835.0	1838.0	1865.0	1865.0
არაფინანსური აქტივების კლება	62,0	0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)</b>	0.0	7492.2	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

გადასახდელები.

არსებული სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რამაც უზრუნველყო მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2021-2024 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. დმანისის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

**დმანისის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით**

**2019 –2024წლებში**

N	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
	<b>გადასახადები სულ</b>	<b>15249,3</b>	<b>23689.2</b>	<b>13658,3</b>	<b>15637,5</b>	<b>17848,3</b>	<b>18783,3</b>
1	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	9352,8	17582,7	7254,9	8403,8	10609,7	11544,7
2	დასუფთავება და გარემოს დაცვა	376,4	599.1	695,0	725,0	725.0	725.0
3	განათლება	1430,0	1401.7	1247,0	1277,0	1277,0	1277,0
4	კულტურა და სპორტი	751,9	684.4	892,6	922,6	922.6	922.6
5	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	596,4	730.2	580,2	579,2	582.2	582.2
6	მართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯი	2741,8	2691.1	2988,6	3729,9	3731,8	3731,8

**ბიუჯეტის ბალანსი**

**დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

**2019-2024 წლებში**

*(ათას ლარებში)*

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
------------	-----------------	-----------------	-------------------	--------------------	--------------------	--------------------

			o			o
<b>I შემოსავლები</b>	<b>17502.2</b>	<b>16141.5</b>	<b>13658,3</b>	<b>15637,5</b>	<b>17848,3</b>	<b>18783,3</b>
გადასახადები	6806.7	6719.9	8037,3	10013,5	12197,3	13132,3
გრანტები	5965.8	6036.6	3786,0	3786,0	3786,0	3786,0
სხვა შემოსავლები	4729.8	3385.0	1835,0	1,838.0	1,865.0	1865,0
<b>II ხარჯები</b>	<b>5565.6</b>	<b>5799.2</b>	<b>6202,8</b>	<b>7153,1</b>	<b>7178,0</b>	<b>7178,0</b>
შრომის ანაზღაურება	1416.0	1443.0	1654,0	2277.8	2277.8	2277.8
საქონელი და მომსახურება	1611.2	1875.8	1682,0	1951,6	1968,6	1968,6
პროცენტი	27.8	31.8	26,7	21,6	16,5	16.5
სუბსიდიები	1800.2	1809.8	2258,2	2316,2	2319,2	2,319,2
გრანტები	25.0	25.0	25.0	25.0	25.0	25.0
სოციალური უზრუნველყოფა	481.2	498.9	341,0	342,0	342,0	342,0
სხვა ხარჯები	204.2	114.9	215,9	218,9	228,9	228,9
<b>III საოპერაციო სალდო</b>	<b>11936.7</b>	<b>10342.3</b>	<b>7455,5</b>	<b>8484,4</b>	<b>10670,3</b>	<b>11605,3</b>
<b>IV არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>9594.0</b>	<b>17834.4</b>	<b>7399,9</b>	<b>8428,8</b>	<b>10614,7</b>	<b>11549,7</b>
ზრდა	9656.0	17834.4	7399,9	8428,8	10614,7	11549,7
კლება	62.0	0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>V მთლიანი სალდო</b>	<b>2342.7</b>	<b>-7492.2</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
<b>VI ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	2314.9	-7492.2	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	2314.9	0.0				
ვალუტა და დეპოზიტები	2314.9	0.0				
კლება	0.0	7492.2	0.0			
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	7492.2	0.0			
სესხები		0.0				
აქციები და სხვა კაპიტალი						
სხვა დებიტორული დავალიანებები						
<b>VII ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-27.8</b>	<b>-55.6</b>	<b>55.6</b>	<b>55.6</b>	<b>55.6</b>	<b>55.6</b>
ზრდა						
საგარეო						
საშინაო						
კლება	-27.8	55.6	55.6	55.6	55.6	55.6
საგარეო						
საშინაო	0.0	0.0	0.0			
		0.0	0.0			
<b>VIII ბალანსი</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>		<b>0.0</b>	<b>0.0</b>

2019-2020 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2019 წლის ბიუჯეტის შესრულება



2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 17564,3 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადებმა 6806.7 ათასი ლარი, გრანტებმა 5965.8 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 4729.8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 62.0 ათასი ლარი; 2018 წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა - 5236.1 ათასი ლარი. საიდანაგ ხარჯების დასაფარად მიმართული იქნა 5169.6 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ასიგნებები 1808,0 ათასი ლარი რომელიც მიმართული იქნა 2018 წელში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისათვის, კერძოდ; სოფ. უსენქენდი, სალამალიეკი, მამიშლარის მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე-552685 ლარი; სოფ. გომარეთში სანიაღვრე არხის მოწყობა ბეტონით-242438 ლარი, სოფ. კამიშლოში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე-220875 ლარი, სოფ. ჯავახში სანიაღვრე არხების და შიდა გზების რეაბილიტაციაზე-79499 ლარი, სოფ. საკირეში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე-55803 ლარი, სოფ. ბოსლებში გზის მოხრეშვა- მოსვალტებაზე 63102 ლარი, სოფ. ტნუსში შიდა გზის რეაბილიტაციაზე- 81038 ლარი, სოფ. პანტიანში შიდა გზის რეაბილიტაციაზე-86564 ლარი და სოფ. პატარა დმანისში შიდა გზის და არქეოლოგებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 236296 ლარი, ასევე გათვალისწინებულია აღნიშნული ნაშთიდან სოფ. ტნუსში და დალარის ხიდების რეაბილიტაციაზე 140283 ლარი. აღნიშნული პროექტების განხორციელებისათვის საკუთარი სახსრებიდან თანადაფინანსების სახით გამოყოფილი იქნა 503.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი იქნა 686,0 ათასი ლარი და ასევე აღნიშნული რაოდენობით თანადაფინანსებით საკუთარი სახსრებიდან გამოყოფილი ასიგნებებით შესრულებულია სამუშაოები სოფლებში შემდეგი ოდენობით - წყალმომარაგების ქსელების და რეზერვუარების რეაბილიტაციაზე 16 სოფელში დაფინანსებულია 242762 ლარის სამუშაოები, გზის მოხრეშვებზე დახარჯულია 8 სოფელში 164000 ლარი, გარე განათების მოწყობაზე 27 სოფელში გაცემულია 614787 ლარი, სოფლის კეთილმოწყობის ხაზით 14 სოფელში დახარჯულია 216523 ლარის ოდენობით, საბავშვო ბაღის ატრაქციონების შექმნისათვის გაცემულია 7200 ლარი და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნისათვის 7735 ლარის ოდენობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისათვის გამოყოფილი თანხებიდან გათვალისწინებულია სოფ. ირგანჩაიში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 700365 ლარი თანადაფინანსების ჩათვლით, სოფ. კამიშლოს შიდა გზის და მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 478327 ლარი, სოფ. იფნარიდან სოფ. ბახჩალარისაკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 523235 ლარი, სოფ. განთიადის შიდა გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობაზე 943572 ლარი, სოფ. პატარა დმანისში სიონის მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 595157 ლარი და სოფ. გოდაგთაგში სანიაღვრე არხის მოწყობაზე 79770 ლარის ოდენობით რაზეც წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოებზე დაფინანსდა 2657943 ლარის ოდენობით ანუ 80% ხოლო დარჩენილი 20% -ის შესრულება განხორციელდება 2020 წლის განმავლობაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით შესრულებულია სოფ. ირგანჩაიში მდებარე მდინარის კალაპოტის ჩაღრმავება და მილხიდების მოწყობა რაზეც დაიხარჯა 439719 ლარი, ხოლო სოფ. ლოქანდარის მისასვლელი გზაზე ორი მილხიდის მოწყობაზე 88910 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ გამოყოფილი თანხებით განხორციელდა #1 საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობაზე 62671 ლარის სამუშაოები, განთიადის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის რეაბილიტაციაზე 90200 ლარი, დიდი დმანისის საჯარო სკოლის საპირფარეოს და პანდუსების მოწყობაზე 72470 ლარი ქ. დმანისში #3 საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის და სველი წერტილების მოწყობაზე 231151 ლარი, დაგარახლოს საჯარო სკოლის ფანჯრების რეაბილიტაციაზე 21111 ლარი, ირგანჩაის საჯარო სკოლის სამკითხველო ოთახების მოწყობაზე 2969 ლარი და ქ. დმანისში #2 საჯარო სკოლის შენობაში საკანალიზაციო სისტემის მოწყობაზე 1613 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ჯამრთველობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით 2019 წელს დაიწყო და დამთავრდა 2020 წელს ამბულატორიების მშენებლობა და რეაბილიტაცია და ქ. დმანისში სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობა #3-ის მშენებლობა რაზეც დაიხარჯა 383,9 ათასი ლარი, ხოლო სოფ. ამამლოში ამბულატორიის მშენებლობაზე 91.1 ათასი ლარი, სოფ. გუგუთში ამბულატორიის მშენებლობაზე 91,3 ათასი ლარი, სოფ. გომარეთში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციაზე 27,7 ათასი ლარი, სოფ. ქვემო ოროზმანში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციაზე 43,1 ათასი ლარი, და ქ. დმანისში (კამარლო) ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციაზე 23,9 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტში 2019 წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავლების ხარჯზე განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ქ. დმანისში 26 მაისის ქ. #15-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია, რაზეც დაიხარჯა 101,4 ათასი ლარი; ქ. დმანისში 9 აპრილის ქუჩა 32-ში, 26 მაისის ქ. #7-ში მდებარე

მრავალბინიანი კორპუსების სახურავის რეაბილიტაციაზე 43,5 ათასი ლარი,; სოფ.ვარდისუბანში კორპუსის სახურავის და ქ.დმანისში ვ.მეფის ქ.#3 კორპუსის სახურავის რეაბილიტაციაზე 64,9 ათასი ლარი;ქ.დმანისში გამორჩენილ ქუჩებში,სოფ. განთიადში, პანტიანში,იაღუფლოში და ირვანჩაიში გარე განათების მოწყობაზე 235,4 ათასი ლარი; ქ.დმანისში 26 მაისის ქ# 9-ში და ვ.გორგასალის ქ.#7-ში კორპუსის სახურავის მოწყობის სამუშაოებზე 267,7ათასი ლარი; ქ.დმანისში 26 მაისის ქ#11-ში მდებარე კორპუსის ფასადის რეაბილიტაციაზე 63,3 ათასი ლარი;ქ.დმანისში 9 აპრილის ჩიხი #27-ში და წმ.ნინოს ქ#8,#40 კორპუსის სახურავის რეაბილი- ტაციაზე 123,7 ათასი ლარი; ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ.#48 და #52-ში მდებარე კორპუსის სახურავის რეა- ბილიტაციაზე 78,6 ათასი ლარი; სოფ.ზემო კარაბულახის შიდა გზის დაქ.დმანისში სიონის ჩიხი #6 რეაბილიტაციაზე 108,3 ათასი ლარი;ქ.დმანისში ნანა დედოფლის ქ# 2-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსის განათების საპატრიარქოს ეზოს განათების სოფ.პ.დმანისში და ჯავახის გარე განათების სამუშაოების მოწყობაზე დახარჯულია 108431 ლარის ოდენობით; ქ. დმანისში ტურისტული საინფორ- მაციო ცენტრისათვის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის გაცემულია 81132 ლარი; სოფ.გომარეთში სპორტული მოედნის და სკვერის მოწყობის სამუშაოებზე გაცემულია 384733 ლარი; სოფ.მაშავერაში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაოებზე 213901 ლარი; სოფ. ვარდისუბანში სკვერის და მინი სტადიონის მოწყობაზე 512000 ლარი; სოფ.ბოსლებში მინი სტადიონის მოწყობაზე 203000 ლარი; ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩაზე მდებარე მინი სტადიონის რეაბილიტაციაზე 150000 ლარი; სოფ.ჯავახში სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობაზე 450000 ლარი;სოფ.კარაბულახის ადმინისტრაციული შენობის სახურავის და ქ.დმანისში ნანა დედოფლის ქ.#2 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაციაზე 102000 ლარი; ქ.დმანისში ცურტაველის ქუჩის გზის და ხერგიანის ქუჩის არხების რეაბილიტაცია და სოფ.ვარდისუბანში-დ.დმანისში მოსაწყობი რკინა ბეტონის არხების მშენებლობისთვის 238000 ლარი; სოფ. დ.დმანისში ,ჯავახში, კიზილაჯლოში, გარე განათების მოწყობის სამუშაოებისთვის 163225 ლარი;

გარდა ზემოთ აღნიშნულისა დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი 50000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების საამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებაზე გაცემულია N92 და N125 ხელშეკრულებიდან 307504 ლარის ოდენობით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელდა შემდეგი სახის სოციალური პროგრამები:

1.სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური,ამბულატორიული დახმარების პროგრამა.პროგრამის მიზანია ა). სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირები,რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100000 ქულის ჩათვლით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა; ბ). იძულებით ადგილნაცვალი პირები და მათი ოჯახის წევრები; გ). 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; დ). ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები; ე). ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები; ვ). C ჰეპატიტით დაავადებული პირები; ზ). მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; რომელზეც წლის განმავლობაში გაცემულია 307,3 ათასი ლარი და შესაბამისად ისარგებლა აღნიშნული პროგრამით 536 ბენეფიციარმა.

2.ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ა).დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსინათლოები 28 მოქალაქე; ბ). ვეტერნები 242 მოქალაქე; გ). დიალიზის მქონე პირები 12 მოქალაქე, რაზეც აღნიშნული პროგრამა დაფინანსდა 69.5 ათასი ლარის ფარგლებში.

3. ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებული და სხვა სამედიცინო დიაგნოზით დაავადებული მოქალაქეები, მათ შორის ფენლკეტონურიით დაავადებული ბავშვთა სპეციპიკური კვების პროდუქტებით დახმარების პროგრამა რაც, წლის განმავლობაში დაფინანსდა 112.6 ათასი ლარის ფარგლებში.

4. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან „ბრეკეტი“) უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა, რომლის მოსარგებლე პირებიც არიან მარტოხელა პენსიონერები და მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები, რაზეც წლის განმავლობაში 167 ოჯახზე დაფინანსებული იქნა 42.5 ათასი ლარი.

5. მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით სარგებლობს უკიდურესად გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი და მარტოხელა პენსიონერები, რომელსაც ემსახურება ააიპ “დმანისი სათნოების სახლი“, სადაც რეგისტრირებულია და წლის განმავლობაში დახარჯულია 55ბენეფიციარის შენახვაზე 65.3 ათასი ლარი.

## 2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2020 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა შეადგენს 24087,6 ათას ლარს, მათ შორის გადასახადები 6719,9 ათასი ლარი, გრანტები -6184,9 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 3635,0 ათასი ლარი და გარდამავალი ნაშთის მიმართებით ხარჯების დასაფარავად 7547.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ნაშთი შეადგენს 2382,6 ათას ლარს.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 6184,9 ათასი ლარი მიმართული იქნა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის:

-სოფ.მაშავერის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 417000 ათასი ლარი აქედან ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 200077 ლარს.

-სოფ.აზაკლიანში ცენტრალური გზიდან სარიტუალო დარბაზამდე მისასვლელი გზის მოწყობისთვის 489000 ლარი აქედან, ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 272862 ლარს

-ამამლოს ახალ სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობისთვის(500გრძ.მ) 333000 ლარი საიდანაც ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 316350 ლარს.

-სოფ.დაგარახლის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისთვის 291000 ლარი, აქედან ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 276450 ლარს.

-სოფ.კიზილაჯლოს შიდა გზების რეაბილიტაციაზე (სასაფლაომდე მისასვლელი გზა) 469000 ლარი , აქედან ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 445550 ლარი.

-სოფ.ბაზაქლოში შიდა გზის მოწყობისთვის (500გრძ.მ)250000 ლარი, საიდანაც ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 237500 ლარს.

-სოფ.ამამლოში სანიაღვრე არხის მოწყობაზე(910 გრძ.მ) 176000 ლარი, საიდანაც ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 167200 ლარს.

-სოფ.დაგარახლოს წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის მშენებლობისთვის 80120 ლარი, აქედან ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 76114 ლარს.

-სოფ.ველისპირის წყალმომარაგებისთვის ჭაბურღილის და ახალი რეზერვუარის მშენებლობაზე 118770 ლარი, აქედან ფონდებიდან გათვალისწინებულია 104079 ლარი.

-სოფ.განთიადში შიდა გზის რეაბილიტაციაზე გათვალისწინებულია 400000 ლარი, აქედან ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 380000 ლარს.

-ქ.დმანისში N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 545601 ლარი, აქედან ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 518321 ლარს.

-ქ.დმანისში N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის 749990 ლარი, საიდანაც ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 712491 ლარს.

-სოფ.განთიადის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის 530154 ლარი, აქედან ფონდებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 335587 ლარს.

ასევე გათვალისწინებულია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 686000 ლარი და საკუთარი სახსრებიდან თანა დაფინანსების სახით გათვალისწინებულია 483000 ლარი, რომელიც მიმართულია შემდეგი პროექტების განხორციელებისათვის:

გარე განათების მოწყობისათვის 39 სოფლისთვის გამოყოფილია 724,7 ათასი ლარი; გზების მოხრეშვებზე 4 სოფლისათვის გათვალისწინებულია 70.0 ათასი ლარი; სანიაღვრე არხის მოწყობაზე ერთ სოფელში დაიხარჯება 17,0 ათასი ლარი; სველი წერტილების მოწყობაზე გათვალისწინებულია ერთ სოფელში 21,7 ათასი ლარი; სკვერები მოწყობაზე გათვალისწინებულია სამ სოფელში 72,3 ათასი ლარი; წისქვილის შეენაზე დაიხარჯება 8,0 ათასი ლარი; სასმელი წყლების რეაბილიტაციაზე 16 სოფელში გათვალისწინებულია 211,3 ათასი ლარი და სხვა კეთილმოწყობითი ღონისძიებებისათვის დაიხარჯება 3 სოფელში 44,0 ათასი ლარი.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების მიზნით უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილია და დაიხარჯება გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში 719413 ლარის ოდენობით (მათ შორის 2019 წლის ნაშთი შეადგენს 41350 ლარი) კერძოდ;

-სოფ.დაგარახლოს საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობაზე 57770 ლარი; სოფ.მაშავერის საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციოდ (საპირფარეშო) 99915 ლარი; სოფ.იალუფლოს საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობისათვის 94335 ლარი; სოფ.კამარლოს საჯარო სკოლის შენობის ცენტრალური გათბობის მოსაწყობად 86086 ლარი; სოფ.სარკინეთის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაციაზე 74999 ლარი; სოფ.ზემო ოროზმანის საჯარო სკოლის საპირფარეშოს მოწყობისთვის 46293 ლარი; სოფ.ზემო კარაბულახის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობისთვის 77277 ლარი; სოფ.იფნარის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის მოწყობისთვის 105800 ლარი; სოფ.კიზილაჯლოს საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობისთვის 73777 ლარი და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით 3161 ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი იქნა 460750 ლარის ოდენობით სოფელ სოფთლომდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, რომლის დასრულებაც გათვალისწინებულია 2020 წლისთვის.

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 ივლისის N1250 განკარგულების საფუძველზე 2018-2019 წელს საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტებიდან წარმოქმნილი ეკონომიები მიმართული იქნა სოფელ ჯავახში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 209866 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის წილი 57433 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საკუთარი სახსრები-დან დაგეგმილია და ხორციელდება შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები:

-ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩისა და ჩოლოყაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე სპორტული მოედნისა და საზოგადოებრივი დანიშნულების რეტერანტის მოწყობის სამუშაოებისათვის -192682 ლარი.

-სოფ.ოროზმანის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია დაგარე სანიტარული კვანძის მოსაწყობად 145797 ლარი.

-სოფ.მთისძირში სათავე ნაგებობის შემკრები/რეზერვუარისა და მაგისტრალური მოსაწყობად 2020 წელში გათვალისწინებულია 600000 ლარი, ხოლო 2021 წელს 468169 ლარი.

-ქ.დმანისში მრავალბინიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციაზე 132257 ლარი.

- ქ.დმანისში ჩოლოყაშვილისა და 9 აპრილს ქუჩების გადაკვეთაზე სკვერის მოწყობის სამუშაო- ბისათვის 241130 ლარი.

- სოფ.კამიშლოში მისასვლელი გზისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოებისათვის 165000 ლარი.

-სოფ.პანტიანში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციისა და სოფ.ტნუსში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 183578 ლარი.

-სოფ.გოდაგდაგში რიტუალების სახლის საამშენებლო სამუშაოებისათვის 2020 წელს 148885 ლარი, ხოლო 2021 წელს 148885 ლარი.

-სოფ. მამულოში სარიტუალო დარბაზის ეზოში დამხმარე ნაგებობებისა და საპირფარეშოს მშენებლობა სოფ.გომარეთის ადმინისტრაციული შენობის არსებული ქვის ღობის აღდგენა, სოფ.იფნარში ადმინისტრაციის ეზოს შემოღობვა, მუნიციპალიტეტის შიდა სახელმწიფო გზასთან უსახური შენობების რეაბილიტაცია და სოფ.აზ კაკლიანში სარიტუალო დარბაზთან საპირფარეშოს მოწყობისათვის 147064 ლარი.

-ქ.დმანისში ვ.ბატონიშვილისა და 300 არაგველის ქუჩაზე მდებარედ შემოღობვის სამუშაოებისათვის 149997 ლარი.

- დმანისის მუნიციპალიტეტში სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების, საგზაო სარკის, ლითონის თვალამრიდი ძელების, ბეტონის პარაპეტების საგზაო სოლარის ციმციმა მოწყობის სამუშაოებისათვის 75271 ლარი.

-სოფ.გუგუთში სამარაგო რეზერვუარისა და წყალსადენი ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის 267310 ლარი.

-დმანისის მუნიციპალიტეტის საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის მოწყობისათვის 44744 ლარი.

-ქ.დმანისში ვ.ფშაველას ქუჩაზე მდებარე სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაციაზე 149568 ლარი.

-სოფ. ჯავახში სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობისათვის 472921 ლარი.

-სოფ.კამიშლოში მისასვლელი გზისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სარეაბილიტაციო სამუ- შაობისათვის 478327 ლარი.

-სოფ.კამარლოსა და უსეინქენდში წყლის სათავე კვანძის,სადრენაჟე სათავე კვანძის და მაგისტრა-ლური მილსადენის რეაბილიტაციაზე 39189 ლარი.

-დმანისის მუნიციპალიტეტის საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის მოწყობისთვის 44744 ლარი.

-დმანისის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა -შენახვისთვის გათვალისწინებულია 217000 ლარი, ხოლო სასმელი წყლების მოვლა შენახვისთვის 118000 ლარი.

-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით (სარიტუალო დარბაზების, გარე განათების, გზების, სველი წერტილების, ჭაბურღილების და შიდა ქსელების,საჯარი სკოლების შენობების ცენტრალური გათბობის) გათვალისწინებულია 197295 ლარი.

-დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი 50000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრა- სტრუქტურული ობიექტების საამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებისთვის გაცემულია N92 და N125 ხელშეკრულებიდან 125163 ლარის ოდენობით.

-გარდა ზემოთ აღნიშნული სამუშაოებისა 2018 წელს რ.გ.ფ.-დან გამოყოფილი აუთვისებელი თანხებიდან გაფორმებული იქნა ხელშეკრულება სოფელ უსეინქენდის, სალამალეიქის,მამიშლარის მისასვლელი გზისა და სოფ.საკირეს შიდა გზის მოწყობის სამუშაოებისათვის 710000 ლარი,ხოლო სოფელ ბოსლებში შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების,სოფელ გომარეთის შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და სოფელ ჯავახში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოებისათვის 444999 ლარის ოდენობით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთველობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის 2020წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1.სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების პროგრამა .პროგრამის მიზანია საყოველთაო ჯანმრთველობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებთან ერთად უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთველობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.პროგრამით მოსარგებლეთათვის გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

ა). სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები,რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100000 ქულის ჩათვლით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა ; ბ). იძულებით ადგილნაცვალ პირები და მათი ოჯახის წევრები; გ). 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; დ). ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები; ე). ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები; ვ). C ჰეპატიტით დაავადებული პირები; ზ). მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; რომლებზეც წლის განმავლობაში გაიცემა 277.7 ათასი ლარი და შესაბამისად ისარგებლებს აღნიშნული პროგრამით დაახლოებით 650-მდე ბენეფიციარი.

2.ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ა).დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსინათლოები 28 მოქალაქე; ბ). ვეტერნები 238 მოქალაქე; გ).დიალიზის მქონე პირები 17 მოქალაქე,დ) სტუდენტები სავარაუდოდ 300-მდე, რაზეც აღნიშნული პროგრამა დაფინანსდება 61.5 ათასი ლარის ფარგლებში.ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით ტრანსპორტის გამოყოფა,საქართველოს მამტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ,სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ჩართულობა. სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილებისათვის ტრანსპორტის გამოყოფა.

3. ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეები, პროგრამა დაფინანსდება 200,0 ათასი ლარის ფარგლებში. და დაახლოებით ისარგებლებს 620-მდე ბენეფიციარი.

4. ფენლკეტონურიით დაავადებული ბავშვთა სპეციპიკური კვების პროდუქტებით დახმარების პროგრამა, წლის განმავლობაში დაფინანსდება 8,0 ათასი ლარის ფარგლებში ( 4 ბენეფიციარი).

5. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან „ბრეკეტით“) უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა, რომლის მოსარგებლე პირებიც არიან მარტოხელა პენსიონერები და მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები, რაზეც წლის განმავლობაში 150 ოჯახზე დაფინანსებული იქნება 42,0 ათასი ლარი.

4. მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით სარგებლობს უკიდურესად გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი და მარტოხელა პენსიონერები, რომელსაც ემსახურება ააიპ “დმანისი სათნოების სახლი“, სადაც რეგისტრირებულია და წლის განმავლობაში დახარჯება 58 ბენეფიციარის შენახვაზე 78,9 ათასი ლარი.

5. აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარები პროგრამაზე 10000 ლარი.

თავი III

**დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**საშუალოვადიან პერიოდში**

**ინფრასტრუქტურის განვითარება**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემის, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	დასახელება	2019წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>9352,8</b>	<b>17958,4</b>	<b>7254,9</b>	<b>8403,8</b>	<b>10609,7</b>	<b>11544,7</b>
<b>02 01</b>	<b>საგზაო ინფრასტრუქტურა</b>	<b>4599,4</b>	<b>7415,5</b>	<b>1103,5</b>	<b>3427,8</b>	<b>5177,4</b>	<b>5332,6</b>
<b>020101</b>	გზების მოვლა-შენახვა	194,2	248,2	250,0	260,0	260,0	260,0
<b>020102</b>	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4405,2	7167,3	853,5	3167,8	4917,4	5072,6
<b>02 02</b>	<b>წყლის სისტემების განვითარება</b>	<b>96,4</b>	<b>2167,3</b>	<b>2401,3</b>	<b>2750,0</b>	<b>1400,0</b>	<b>1300,0</b>
<b>020201</b>	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია(შენახვა)	2,9	123,4	120,0	200,0	200,0	200,0

<b>020202</b>	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	93,6	2043,9	2281,3	2550,0	1200,0	1100,0
<b>02 03</b>	<b>გარე განათება</b>	<b>639,0</b>	<b>696,3</b>	<b>195,0</b>	<b>240,0</b>	<b>256,1</b>	<b>244,8</b>
<b>020301</b>	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია	639,0	546,3	15,0	40,0	36,1	24,8
<b>020302</b>	გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი	0,0	150,0	<b>180,0</b>	<b>200,0</b>	<b>220,0</b>	<b>220,0</b>
<b>02 04</b>	<b>მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია</b>	<b>1736,3</b>	<b>3303,3</b>	<b>2307,3</b>	<b>717,0</b>	<b>1257,2</b>	<b>2504,1</b>
<b>020401</b>	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	1736,3	3192,1	2307,3	717,0	1257,2	2504,1
<b>020402</b>	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია (ბინათმშენებლობა)	0,0	111,2	0,0	0,0	0,0	0,0
<b>02 05</b>	<b>კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>	<b>1028,7</b>	<b>2003,3</b>	<b>161,8</b>	<b>183,0</b>	<b>1233,0</b>	<b>877,2</b>
<b>020501</b>	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1028,7	2003,3	<b>161,8</b>	<b>183,0</b>	<b>1233,0</b>	<b>877,2</b>
020502	შადრევან-აუზების ექსპლუატაცია, რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
020503	სასაფლაოების მოვლა, სარიტუალო ღონისძიებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
<b>02 06</b>	<b>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები</b>	<b>1253,0</b>	<b>1283,2</b>	<b>686,0</b>	<b>686,0</b>	<b>686,0</b>	<b>686,0</b>
<b>02 07</b>	<b>საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა</b>	<b>0,0</b>	<b>1089,5</b>	<b>400,0</b>	<b>400,0</b>	<b>600,0</b>	<b>600,0</b>
<b>02 08</b>	<b>სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

პროგრამის დასახელება	კოდი 0201	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2021წლის დაფინანსება	2021-2024წწ დაფინანსება
			1103,5	15041,3
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, როგორცაა გზების ( ორმული) და ფრაგმენტული შეკეთება, გზების ქვიშა- ხრეშოვანი მასალის მოწყობა, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, გზებზე ასფალტ/ ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება. პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ქუჩებისა და გზების განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას..</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სამუშაოს განხორციელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითი ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება.</p>			
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none"> <li>_ მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა,</li> <li>_ მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა,</li> <li>_ მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.</li> </ul>			



პროგრამის დასახელება	კოდი 0202	წყლის სისტემების განვითარება	2021 წლის დაფინანსება	2021-2024წწ დაფინანსება
			2401,3	7851,3
პროგრამის განმახორციელებელი		მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევაში პროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ დმანისში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>_ მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;</li> <li>_ მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;</li> <li>_ წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</li> </ul> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა.</p> <p>ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები და „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ შპს, რომელიც ემსახურება ქალაქ დმანისს და 12 სოფელს, ხოლო დანარჩენ სოფლებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია.</p> <p>რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ ინფრასტრუქტურული ( წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების ( წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიანს, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p>		

მოსალოდნელი შედეგები	_ მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი, _ მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა, _ აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად, _ წყლის სისტემაში პერიოდულად წარმომნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.
-------------------------	--

(ათას ლარებში)

